გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 16
(11 778)

27 თებერვალი – 1 მარტი, 2004 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

- მენოტი ისევ როდრიგეს გუთაპაზობს
- ქიში და როქი ქართულ ჭადრაკში
- ჭარიმები ქართულ ფეხბურთში
- დი სტეფანო – სუპერვარსკვლავი
- სპორტაქ ჯეჯელავა
- შუაბერის ახალი რეკორდი
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

შაქსი არგენტინიდან

DE: CESAR LUIS MENOTTI
26 FEB. 2004 13:08

საქართველოს პრეზიდენტს, მის ადმინისტრაციას, ბატონ მიხეილ სააკაშვილს
ასლი: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ არჩილ გეგეშიძეს
გაზეთ „ლელოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ თენგიზ ბაჩიჩილაძეს
„მთავარი გაზეთის სპორტის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ პაატა გელაშვილს

თქვენო აღმატებულებავ,

უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე არჩევა და გისურვოთ წარმატებები თქვენს მოღვაწეობაში.

როგორც ფეხბურთის სპეციალისტი, სამჭის კურსში ვარ, რომ საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრებისთვის ხართ უცხოელი მწვრთნელის ძიებაში. ამასთან დაკავშირებით, თავს უფლება მივეცი, რომ გირჩიოთ ბატონი ვისენტე კაიტანო როდრიგესის სახელი, რომელსაც ვთვლი ჩემს მეგობრად და ნდობით აღჭურვილ პიროვნებად, ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის უზარმაზარი ცოდნით და ნაკრებ გუნდებში მუშაობის დონის გამოცდილებით, რომელიც რვა წლის განმავლობაში არგენტინის და 3 წელი მექსიკის ნაკრებ გუნდებში ჩემთან ერთად მუშაობდა.

ბატონ როდრიგესს შეუძლია უხელმძღვანელოს მსოფლიოს ნებისმიერ საფეხბურთო ნაკრებ გუნდს.

ბატონ როდრიგეს მიეზმარებიან არგენტინელი კვალიფიციური სპეციალისტები: ბატონ დიეგო კრუსიანი და უგო დებიანი.

დარწმუნებული ვარ, რომ ბატონ როდრიგესს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ქართულ ფეხბურთში.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების სართაშორისო ფონდის თავმჯდომარე ბატონი ნიკო ჰატარაკოლაშვილი, უფლებამოსილია წარმოადგინოს ბატონი როდრიგესი და აწარმოოს მოლაპარაკებები ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ბატონი ვისენტე კაიტანო როდრიგესი მზადყოფნას გამოთქვამს მოლაპარაკებები აწარმოოს საქართველოში უახლოეს პერიოდში.

ბატონო პრეზიდენტო, რაც შეეხება მეგობრობას, რომელიც მე მაერთიანებს ბატონ როდრიგესთან, დიდი სიამოვნებით გეტყვით საქართველოში, მოწვევის შემთხვევაში.

ამით ვამთავრებ და ვეუსურვებ თქვენს ეროვნულ ნაკრებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შესარჩევ მატჩებში დიდ წარმატებებს.

უღრმესი პატივისცემით,

სესარ ლუის მენოტი.

Cesar Luis Menotti

ქიში და როქი ჭადრაკის ფედერაციაში

ოთხშაბათს, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში შეიდგა გამგეობის სხდომა, რომელ ზედაც პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ ოფიციალური განცხადება გააკეთა თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე. სხდომის მონაწილეებმა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ერთხმად აირჩია ჯაბა ჩიბოხიშვილი, რომელსაც მანამდე ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა 7 მარტს ალარ შედგება, როგორც მანამდე იყო დაგეგმილი, ის წლის ბოლოს ჩატარდება. მანამდე კი ქართულ ჭადრაკს კახი ბიგვიძე წარუძღვება, რომელსაც გამგეობის სხდომის დასრულებისთანავე გაუსაუბრეთ:

● *ბატონო კახი, რა ცვლილებების გატარებას აპირებთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში?*

— რადიკალური ცვლილებების გატარებას არ ვაპირებ. მთავარია, სიტუაცია დაწყნარდეს, ყველფერი დალაგდეს და საჭადრაკო ოლიმპიადის დასრულების შემდეგ გაიმართოს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყრილობა.

● *ცნობილია, რომ საქართველო მომდევნო წელს უნდა მასპინძლობდეს მოჭადრაკეე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. ეს საკითხი ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას უნდა გარკვეულიყო. როგორ არის ამ მხრივ საქმე. ხომ არაფერია ახალი?*

— საკითხი ჯერ დღის წესრიგშია და ალბათ, 10 მარტამდე საბოლოო პასუხს გვიტყვიან.

* * *

კახი ბიგვიძესთან შეხვედრის შემდეგ, მცირე ინტერვიუ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანა-პრეზიდენტს, ხათრაიშვილი დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილს მივეცით.

— გამგეობის სხდომაზე მხოლოდ ერთი საკითხი იქნა — 7 მარტს ალარ ჩატარებულიყო ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა და პრეზიდენტს მიეცო გადადგომის

იხ. 33-ე გვ.

დავით სახალხეიშვილს



ბატონო დავით,

თქვენ იმ ქართველ სპორტსმენთა რიცხვს მიუთვნით, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული სპორტის ისტორიაში. მსოფლიო ძიდელს სამყარომ თქვენ გაგიგნოთ, როგორც ერთ-ერთი უნიკალური სპორტსმენი, რომელმაც 22 წლის ასაკში მოიპოვეთ ოლიმპიური ოქროს მედალი პრესტიჟულ წონაში. ოქროს მედალი, რომელიც თქვენ გხვდათ წილად 1992 წელს ბარსელონაში, მესამე იყო საქართველოსთვის სპორტის ამ სახეობაში და ჩვენი ქვეყანა ამით ძიდელს ყველაზე ავტორიტეტულ ქვეყნებს შორის ჩაჯდა. რომ არა დასაწინაო გაეგებრობა, გეკერპა, თქვენ კალავ იტყოდით წონად სიტყას ატლანტაში გამართული თამაშების ტატამზე. თქვენს სპორტულ ბიოგრაფიას ამშვენებს მსოფლიოს ოთხზის პრიზიორობა, ევროპის სამზის ჩემპიონობა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონობა... სამმოში, გაგიმარჯვნიათ მრავალ ტურნირში თიდოსა და სამმოში.

დღეს თქვენ უკვე ვეტერანი ფალავანი ბრძანდებით, თუმცა, სპორტთან ურთიერთ არ გაგიწყვეტიათ და პირად მაგალითს ახლაც ახლაზრდობას, რომლებიც თამამად მიაბიჯებენ უფროსი თაობის გაკაფულ გზაზე. გილოცავთ დაბადების დღეს, კვლავ წარმატებები ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

ირაკლი მემარიაშვილი,
საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

მილოცვა

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ვეტერან სპორტულ ჟურნალისტს, საქართველოს რადიოს სპორტულ გადაცემათა უფროს რედაქტორს ქალბატონ **თამილა კახიძეს.**

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი



გუშინწინ, თბილისში, გაიმართა ჩემპიონატის მესამე წრის კიდევ ორი მატჩი. ქუთაისელთა გუნდი დიდი ანგარიშით 62:113 (10:36, 16:27, 22:22, 14:28) გათამაშების ლიდერთან ბათუმის „ბასკოსთან“ დამარცხდა. დინამოელთა ძლევის შემდეგ კვლავ აღმავალობით ხაზარა შეხვედრა „სტუ-ჯგოსელმა“, რომელმაც ცხრა ქულის სხვაობით 109:100 (23:23, 28:20, 20:32, 38:25) დაამარცხა „მაკაბი“.

შუბის ბიჭების არდავიწყება

ოცი წელია საქართველოს საზოგადოება გაუთენებელი გულისტკივილითა და სინანულით იხსენებს ექვს გამოჩენილ მთამსვლელსა და სპორტსმენს მაშულიშვილს: **ირაკლი გეგლდაშვილს, გოგი ზუმბაძეს, დვით თარხნიშვილს, დათო კობახიძეს, გია ტუშურს, შურად ჭიჭინაძეს,** რომელნიც შუბის სამხრეთ მწვერვალიდან დაუნდობლად ამსხვრა-ლა თოვლის ზვავად ქაცელმა ბედისწერამ, რასაც ჯერ ვერსად, ვერავინ სცნო, ვერავინ გაჰკეცნა.

2004 წლის 28 თებერვალი „შუბის ბიჭების“ **გახსენების დღეა:**
— 10.00 სასაფლაოზე გასვლა (ლატარი ალუმნიან);
14.30 — 16.00 მეკლდეურთა საჩვენებელი გამოსვლები (სპორტ. დონისძიებანი, რასაც ყოველ ივნისში, ვერაგების დარბაზი, ი. ჭავჭავაძის 49 ა);
17.00 — 20.00 მოგონებების საღამო, საქართველოს ვეტერანული საზოგადოება (ლ. გუდიაშვილის ქ. №11 — ყოფილი კინოთეატრის ქ.)

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია

ცნობები ფედერაციებიდან

ჯერ ნოვისადში, მერე ბაშკენდში

ჭიდაობის ფედერაციიდან გვაცნობენ, რომ გუშინ თბილისიდან, ბორკომში საწვრთნელი შეკრების შემდეგ, სერბიაში გაემგზავრნენ საქართველოს ბერძნულ-რომაული ტიპის ის მოჭიდავეები, რომლებსაც ჯერ არ მოუპოვებიათ საოლიმპიადო ლიცენზია. ესენი არიან — ირაკლი ჯოჯუა (55), ბადრი ხასიაი (74), და მირიან გიორგაძე (მძიმე). ტურნირი, რომელიც ამ შაბათ-კვირას გაიმართება, ლიცენზიის მიაკუთვნებს იმ სპორტსმენებს, რომლებიც ხუთეულში მოხვდებიან. მარტს მერე დეკადის დასაწყისში კი ბოლო სალიცენზიო ტურნირს უმასპინძლებს, სადაც ათენის საგზურს წონაში სულ ოთხეული მიიღებს.



იზორია და კუპატაძე ოლიმპიელია



ფოთი რომ კრიკეს აღარებულ ცენტრად იქცა, ახლ ერთხელ კიდევ დადასტურდა. ქ. პეულდან (ნორვეგია) მიღებული ინფორმაციით, სადაც ევროპის ჩემპიონატი ტარდება და ყველ ნახვრეტიანალისტი ათენის საგზურს დაეუფლება, ფოთელმა **ნიკოლოზ იზორიამ** (51) ბრწყინვალედ გაიღწია ნახვრეტიანალში და ოლიმპიადის ლიცენზია ქართულ მოკრივეთაგან პირველმა გაიანდა.

წუხელ, რუდაქციიდან დაეუკავშირდით საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს ზურაბ კიკნაველიძეს, *რომელმაც გვაცნობა, რომ იზორიას გარდა ნახვრეტიანალში გავიდა და ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია გაიანდა კიდევ კუპატაძემ. „დიდი იმედი გვაქვს, რომ იზორიაც და კუპატაძეც შინ ეეროვნის ჩემპიონის ოქროს მედლებითაც დაბრუნდებიან“* — თქვა ზ. კიკნაველიძემ.

ნინოს ხელი ორივეჯერ მოეცარა

ნინო სალუქაძეს, რომელმაც პირველმა მოიპოვა საქართველოდან ათენში ოლიმპიური თამაშების ლიცენზია, ჯერჯერობით არ უმართლებს და სეზონი წარუმატებლად დაიწყო. ბანგკოკში ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასზე ნინო პისტოლეტიდან სროლაში რვა უძლიერეს შორის ვერ მოხვდა, საბოლოდ მას სამი ქულა დააკლდა, მოაგროვა რა 575 ქულა (მე-13 ადგილი). პირველობა მოიპოვა მონწილეობა ოტრიადიმ, რომელსაც ლიდერობა თავიდან არ გაუშვია ხელიდან. მერე იყო ცნობილი ჩუენი, ოლიმპიური ჩემპიონი, ბუელგერული მარია გრიზენკა, მესამე — ავსტრალიელთა რძალი ლოლტა ივეტიკაია.

შემდეგი პროგრამა იყო პნევმატური იარაღიდან ასპარეზობა. სამწუხაროდ, ქართველ სპორტსმენს არც აქ გაუმართლა და მეოთხეშეტე ადგილს დასჯერდა. პირველი იყო რუსეთელი ოლგა კუზნეცოვა, მეორე — კორეელი განგი, მესამე — დანიელი სუსანა მირსკოფი.

ხვალ, 28 თებერვალს სიდნეიში გაიმართება მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი. მონაწილენი ბანგკოკიდან პირდაპირ გაემგზავრნენ 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ქალაქში.

სალამი სამგოს!

ვასალებით და თავს ვახსენებთ იმიტომ, რომ იყო დრო, სამხის ეროვნული ფედერაცია არ იზარებდა და „ლელს“ ოპერატიულად აწვდიდა ყველა ინფორმაციას, განსაკუთრებით ახალს, რაც სპორტის ამ სახეობის სამყაროში ხდებოდა ჩვენების მონაწილეობით. ახლა, იმ ინფორმაციას, რომელსაც ქვემით გაგაცნობთ, დაგვიანებით ვიგებთ და ჩვენც, სამწუხაროდ, ოპერატიულად ვერ ვაწვდით მკითხველს.

მაშ ასე, მინსკში გამართულა ამ ქვეყნის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს (ფუტბოლის ენთუზიაზი ვთქვათ, რსფსრ-ის პრეზიდენტის ბ. ჯელცინის სამიზნად თუ მიზანდვით) სახელობის თასის გათამაშება. საქართველოდან მონაწილე სპორტსმენთაგან წარმატებით უასპარეზია და ოქროს მედალი მოუპოვებია უშანგი კუბანაშვილს (52), რომელსაც ტურნირი წაუგებლად დაუმთავრებია. ფინალში დამარცხებულა გიორგი ბაინდურაშვილი (74) და ვერცხლის მედალი რგებია წილად. მესამე სპორტსმენი ადგილზე გასულან ზურაბ ოდიაშვილი (57) და დავით ლილუაშვილი (მძიმე).

დღეს სამგოს ახალი პრეზიდენტი უყრილება

დღეს, 13 საათზე, სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს სამგოს ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა.



ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი გვაშორებს

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 168 დღე დარჩა

მრავლეროვნულ გაერთიანებულ საქართველოს, საქართველოს – ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

ქიში და რჩილი ჭადრაკის ფედერაციაში

ირაკლი გვენრიდაძე

შესაბამ, რაც ნინო გურიელმა გააკეთა კიდეც. პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებელად აირჩიეთ კაი ჩიგოროკ ბალი პრეზიდენტი კი აირჩევა დეკემბრის პირველ კვირაში, ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე. თუ რა თქმა უნდა, მანამდე ფორსმაჟორული სიტუაცია არ შეიქმნა.

● ვინ თქვა თუ არა რაიმე ცვლილებებს უახლოეს ხანში?

— რა თქმა უნდა, და ეს აუცილებელიცაა. უნდა მოხდეს ფედერაციის სტრუქტურის რეორგანიზაცია. გამგეობა მეიღებს ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას კოლექტიურად. იმასაც ვფიქრობ, რომ გამგეობის წევრთა რაოდენობა უნდა შემცირდეს და ჩამოყალიბდეს პრეზიდენტის საბჭოსაგან მცირეი სტრუქტურა.

● ისევე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში ჩატარება-არჩატარების შესახებ...

— ოფიციალურად მიმართე, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ საკაშვილს, ისევე პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას. ასეთი უმნიშვნელოვანესი ტურნირის საქართველოში ჩატარების საკითხის გარკვევის თხოვნით. ჯერჯერობით არც დასტური მიგვიღია, არც – უარყოფითი პასუხი. მესმის, რომ ბოლო დროს ხელისუფლება დაკავებულია უამრავი საზრუნავით, ქვეყანას არ ულინს. ალბათდება საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ პასუხი ხომ უნდა ვიცოდეთ? თუნდაც უარყოფითი? ჭადრაკი არის სპორტის ის სახეობა, რომელმაც საქართველოს სახელი გაუთქვა და ყირიმელებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სამყაროში იმიჯის ამაღლებისა და დღევანდელ შეკუმშულ პირობებში ამ სპორტის ფინანსური მხარდაჭერის საკითხი ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოს, რათა ფიქრი ტროფიზე გადარჩეთ.

ესაუბრა თენგიზ ჩოგანაიძე

ღირსეული კაცის იუბილე



საქართველოს ჭიდაობის ერთგული ფედერაცია, ვეტერანი მოჭიდავეები და ჭიდაობაზე მწერალი ჟურნალისტები, დაბადების 55 წლისთავს ულოცავენ ცნობილ მოჭიდავეს, მწერთნელს და ფალავნების დიდ ჭაშნაგს **თამაზ კონჭოშვილს.**

მსოფლიოს ჩემპიონი **ზაურბეგ ბერიაშვილის** თანასოფელი, საბუდრო თამაზ კონჭოშვილი თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ბრავალჯერ ჩემპიონი, და კარგი ფალავნების აღმზრდელი, ამჟამად ყაირის რაიონის საკრებულოს პრეზიდენტია. ის მუდმამამს მფარველად უდგას საქართველოს მოჭიდავეებს, ჩვენი ჭიდაობის დიდი ოჯახის წევრებს.

თამაზ კონჭოშვილის დარი ადამიანები არ მოშლოდეს საქართველოს ფუძემძავარ ჭიდაობის თემს და სრულიად საქართველოს.

„ლელოს" რედაქცია უერთდება ამ მილოცვას.

დიდება გაზაფხულის სტარტების დრო

დასრულდა ზამთრის პირადი საქართველოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში ვაჟებსა და ქალებს შორის, რომელსაც სამი დღის განმავლობაში მასპინძლობდა ამიერკავკასიის (დროებით გაწყვეტილი) რუსეთის ჯარების დაჯგუფება თბილისის ასკ-ს ტირებში. ყველაფერი წინასწარ მოწესრიგებული იყო, ამიტომაც შეჯიბრება ჩატარდა ორგანიზებულად. საბასპარზოდ გამოეცნენ თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის წარმომადგენლები. პროგრამაში იყო: „ოლიმპიური წრე", რომელიც სრულდება ორ ეტაპად — პირველ ეტაპზე ცეცხლის ხაზზე დაიშვება ყველა მონაწილე, მეორეზე — ფინალში გასული სპორტსმენები. ამჯერად განსხვავება კი ის იყო, რომ პირველი ეტაპის ვარჯიშის 70 მ X2 (ორჯერადი გამოსულა) ნაცვლად შეტანილი იყო 18 მ X 2 (ვარჯიში მ-ე). მონაწილეების შეჯიბრების განსნისას სიტყვით მიმართა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფედერაციის თავმჯდომარემ ქეთევან ლოსაბერიძემ. მან აღნიშნა, რომ ჩვენში მშვილდოსნობა წინსულის მიუხედავად, განვითარების ტემპები არ განმაფიფილებს. საჭიროა მეტი ძალისხმევა, რათა ათენის ოლიმპიადაზე ღირსეულად წარვსდგეთ. ამისათვის კი საჭიროა მაქსიმალური ვარჯიში და მაღალი შედეგების მიღწევა. ქალებს შორის პირველი ეტაპი (ორჯერადი გასროლით 30 30) გაიმარჯვა ბათუმელმა ოსტატმა ხათუნა ნარიმანიძემ — 578 (286+292) ქულა. ვარჯიშის პირველ ნახევარში ვარჯიშობდა საქართველოს ფიზიკოსების და სპორტის აკადემიის დაფსწრებელი ფაკულტეტის პირველკურსელება ქრისტინა ცისებაძემ, რომელმაც დააგროვა 577 (293+284) ქულა. ქრისტინამ მეტოქეს პირველ ნახევარში აჯობა 7 ქულით, თუმცა, გამარჯვების შანსი ვერ შენარჩუნა და საბოლოოდ მეორე ადგილზე გავიდა. მიუხედავად ამისა, ქრისტინას წარმატებამ აღფრთოვანება გამოიწვია. მესამე ადგილზე გავიდა ვეტერანი ბათუმელი სპორტსმენი ოლგა ლადიკინა — 565 (281+284).

ვაჟებში ადგილები ასე განაწილდა: 1. ლადო ბოლქვაძე — 562 (281+281), 2. დიმიტრი კირიხნენკო — 543 (271+272) (ორივე — ბათუმი), 3. გიორგი ტურენაშვილი (თბილისი) — 543 (267+276). ფინალი, როგორც ცნობილია, ოლიმპიური სისტემით ტარდება. საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა აჭარელმა ხათუნა ნარიმანიძემ, რომელმაც დაძლია ბრძოლაში სძლია თბილისელ ქრისტინა ცისებაძეს ერთი ქულის სხვაობით — 114:113. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ოლგა ლადიკინამ (110) და ასმათ დისმანიძემ (108).

ვაჟებში ახალგაზრდებს შორის პირველ ფარზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისელი გიორგი ტურენაშვილი და აჭარელი დავით შამილიშვილი. ბრძოლა დამთავრდა გიორგის სასარგებლოდ — 109:106. მესამე-მეოთხე ადგილებისთვის ბრძოლაც ბათუმელთა შორის. დ. კირიხნენკომ (112) აჯობა ლ. ბოლქვაძეს (107). **ქალები:** 1. ნინო მარტაძე (თბილისი) — 97 ქულა, 2 გიული გაიყნაძე (ბათუმი) — 90 ქულა, 3. ნინო უბერია (თბილისი) — 82.

„შედეგებით კმაყოფილი ვარ, თუმცა უცილოდ შეიძლებოდა. ქუბის ღირსია თბილისელი 17 წლის გოგონა ქრისტინა ცისებაძე. დანარჩენებს ჯერ კიდევ დიდი შრომა მართებთ" — თქვა ასპარეზობის ბოლოს ჯ ლოსაბერიძემ.

რუბენ ავეტოსაშვილი.

თენგიზ გიორგაძის მოგონებებიდან:

„ლელო" და ლელოელები

ერეშია მახათაძე

1952 წლის დასაწყისში მიწა კაკაბაძის გაზეთი „ახალაზრდა კომუნისტი" ჩაბარეს. „ლელოში" რედაქტორად გამოაგზავნეს ფურნალისტი, 36 წლის ერეშია მახათაძე. ლელოელები არ ვიცნობდით მას. სპორტთან შებება არ ჰქონია. მანამდე საქინფორმში მუშაობდა. იყო ნაომარი მაიორი, თამაში და თავდჯერებული. იცოდა რუსული, წერდა პოლიტიკისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე. კითხვა-პასუხით ისიც გაეგება თუ როგორ მოხდა „ლელოში". საქინფორმში რედაქტორობა რატომღაც აითვალწუნეს იგი. ხშირად უწუნებდა დაწერილს. მოთმინების ფიალა რომ ავსებოდა, ერეშიამ სიტყვასიტყვით გადაწერა გაზეთი „პრავდის" ერთ-ერთი მოწინავე და წარადგინა თითქოს მისი ყოფილიყო. რედაქტორი ვერ მიხვდა მზაკვრობას და სარედაქციო თათბირზე სასტიკად გაკრიტიკება „დაწერილი". ერეშიასაც ეს უნდოდა. ამიტომ „პრავდის" ნომერი და კოლეგებს დაანახა თუ როგორ მტრობდა მას რედაქტორი. ცხადია, მათი ერთად მუშაობა აღარ შეიძლებოდა. ცკ-მ ერეშია „ლელოში" გადმოიყვანა.

ერეშიამ ვერ მონახა საერთო ენა „ლელოში". მას დაუპირისპირებენ ბიჭიკო ქორქია და ნოდარ გუგუშვილი, რომლებიც ვერ ურიგდებიდნენ რედაქტორის არაკომპეტენტურობას, დილეტანტობას. ერეშიას სპორტმოიტტეის ხელმძღვანელობის ჭხარდაჭერის იმედი ჰ ქონდა, მით უმეტეს, რომ ცკ-ის გამოჯანსაღი იყო. საშეალო და გრძელ მანძილზე რბენებში მოიპოვა ოქროს 9 მედალი.

1956, 1960 და 1964 წლებში ასევე ცხრა ოლიმპიური ოქროს მედალი ხვდა წილად საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ლარისა ლატინინას.

მესამე სპორტსმენი, რომელიც ცხრაზის ოლიმპიური ჩემპიონია, არის ამერიკელი მოცურავე მარკ სპიცი, რომელმაც ცხრაზის ოლიმპიურ ჩემპიონობას ორ თამაშებში — 1968 და 1972 წელს მიაღწია.

ახლა ნამდვილად მიჭირს იმ კოჭკრებული თარიღის გახსენება, რომ ჩვენს ნაცნობობას დიდი სათავე. ის კი კარგად მახსოვს,ეს ათეული წლების წინათ იყო, თამილა ჯახიძემ, მაშინაც და ახლაც, საქართველოს რადიოს სპორტული რედაქციის რედაქტორმა, ეთერში თავისთან თანამშრომლობა შემომთავაზა. თავისთან, იმიტომ, რომ გამბობ, რომ ამ რედაქციასთან უკვე მაკავშირებდა საქმიანი ურთიერთობა. შემოთავაზება, ცხადია, მიეიღე, მით უფრო, რომ სტუდენტი ვიყავი და ყველა კაპიკს, როგორც ამბობენ, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

თამილა ჯახიძე და ვლადი კურტანიძე

ერთადერთი, რაც საბჭოთა პერიოდში ნებაყოფლობით იყო, მეგობრობას უკავშირდება – ვინც გსურდა მეგობრად, იმას აირჩევდი და არც ერთ კერპზე ამ საკითხს საფარით არ განინილავდნენ. თუმცა, დრო იყო ისეთი, შეიძლება ვინმეს სანანებლადაც, რომელსმე ეს არჩევანიც გახდომია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ პირადად არ მახსენებია.

თამილა ჯახიძე. სპორტისა და საქმის სიყვარულს მთელი ცხოვრებით შეწირული ქალბატონი და, დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვებით მეგობრის სიყვარულს შეწირულიც სამართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, როგორ მოხდა სპორტულ სამყაროსთან მისი დაახლოება, მაგრამ დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ამ სამყაროში მას უამრავი მეგობარი ჰყავს, რაც უპირველესად ამ დიდებული ქალბატონის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ამას ვამბობ იმიტომაც, რომ სპორტული სამყარო ალალი ადამიანებით დასახლებული სამყაროა და თუ სადმე სხვაგან შეიძლება, ასე თუ ისე, გასაქანი ჰპოვოს „გადაბრებმა", აქ, ნურას უკაცრავად!

ჩვენი პირადი მეგობრობა კი, აკი გითხარით, ათწლეულებს მოიცავს. სად არ ვყოფილვართ ერთად, ერთ საქმეზე მივლინებით. ხომ უყვედამ კარგად იცის, რომ ადამიანი, მნიშვნელობა არ აქვს ქალია თუ კაცი, ჩვეულებრივი ყოფით ატმოსფეროდან გასვლისას, ანუ როგორც ვიტყვით ხოლმე – მოგზაურობაში, შეიცნობა სრულად. თამამად ვაცხადებ, თავს ვთვლი ბედნიერად, რომ თამილა ჯახიძესთან ალალი მეგობრობა მაკავშირებს, – ჩვენი ხუმრობებით... ან, დავნერე ეს სიტყვები და ვგრძნობ, რომ ალაგ-ალაგ სხვებთანაც გადავიგარ – ცალკერძ ამ ქალბატონის, თუ ერთნერთნელაც სპორტკომიტეტსა განიხილა „ლელოს" მუშაობის საკითხი. ერეშიას საყვედურების მოისმენა მოუწია. 1953 წლის თებერვალში მფარველებმა სხვაგან გადაიყვანეს იგი.

მე ერეშიასთან ნორმალური ურთიერთობა მჭონდა. მართალია, ჭადრაკი არ იცოდა, მაგრამ როგორც სპორტსმენს (მაშინ საქართველოს ნაკრების წევრი ვიყავი) პატივს ცემდა. როგორც შემდგომ შეეძყე, გულშფერობდა ჩემს გამოკვეთილს ბინის მიღებაში.

ერეშიას უბინაობა აწუხებდა (მაშინ ცოლშეილი არ ჰყავდა). ნაჭირავებში ცხოვრობდა. იმ წელს ისე ფილოსოფიის ფაკულტეტს ვამთავრებდი, არ ვიცი როგორ, მაგრამ ერეშიამ მოახერხა თბილისის ალმასკომის თავმჯდომარის (ქალაქის მერის) თანაშემწედ ჩემი დანიშნა. მე ფაქტის წინაშე დამაყენა. არ მომეწონა. საქმე ისაა, რომ 1950 წელს მიშა კაკაბაძემ ჭადრაკის განყოფილების გამგედ დამნიშნა, ვიდრე უნივერსიტეტს დავამთავრებდი. მერე შტატშიც ამიყვანდა. ეს იცოდა ერეშიამ. იგი მიმტკიცებდა, რომ გავხდებოდი დეპუტატი, ბინასაც მივიღებდი და მასაც მივალენინებდი. მერე კი, „ლელოში" რედაქტორად დავბრუნდებოდი. ზეწოლა იმდენად დიდი იყო, რომ ვერ გავუძელი. ალმასკომში ძალიან კარგად მომიღეს. თავმჯდომარე მამაჩემს იცნობდა, მაგრამ მაინც ჩემსას გაეიძახოდი: „უკვალოკოდ ცხოვრება არ შემიძლია. უნდა წავიდე". 20 დღეში სამყურ (!) მომიმატეს ხელფასი. ბოლოს მაინც გავითავისუფლე თავი. მაგრამ ახლა ერეშია არ მიღებდა „ლელოში". თუმცა, სპორტკომიტეტის სამეედურების გამედ დამნიშნა, მე და მიშა ზარგარაში (ისიც შტატგარეშედ თანამშრომლობდა) მივგიეო შტატში. თავად ერეშია კი ამ დროისთვის გაათავისუფლეს „ლელოდან", წასულისას კი ცკ-ში რედაქტორად ჩემი კანდიდატურა წარუდგენია. ეს რომ შეეტყვე, მაშინვე დაეურეკე ცკ-ს განყოფილების გამგეს ბერასიძე ფირცხალავას, რომ არ განეხილათ ჩემი კანდიდატურა „ლელოს" რედაქტორობაზე. ამისთვის მზად არ ვარ, მე მხოლოდ ჭადრაკი მაინტერესებს-მეთქი.

შემდგომში ერეშია მახათაძე ფურნალისტის საქმიანობას აგრძელებდა, როგორც საკავშირო სოფლის მეურნეობის გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში.

ბლივად ჩვენს მეკობრეებად.

რა ვქნა, მოსყვნებას არ მაძლევს ერთი მოგონება – ვაჟიკაცურ, ნაძვგიზა მესხი და მე მოვლინებაში ვიყავით ქიათურა-საჩხერეში. თბილისში კარგი ნაძეიერები ვბრუნდებით მაშტარებით, ვაგონის გამცილებელმა გამოაცხადი, რომ ორკუნიკიძეში

თამილა ჯახიძე და ვლადი კურტანიძე

(ხარაგაული) შედეიოდა მატარებელი. არიქა, მოვეცდით, ავთო, ავთო მაჭავარიანი მოვინახულოთ! ნამოიძახა ნარჩაზან დაა... ჩავედით. ან განსვენებული ავთანდილ მაჭავარიანი ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეე იყო რაიონში, შეანინმშვიე ადამიანი. ფიცხა-ფუცხით ჩავედით. მაშინ ხარაგაულში ადგილმპრივი კინოთეატრის ყველა ფიშის სადგურის პერონზე, სპეციალურ სტენდზე, აუცილებლად გკრავდნენ, რომ კინოს მოყვარულთა მეტი რაოდენობის ყურადღება მიექციათ. პერონზე ცოტათი გავიარეთ და რას ვხედავთ... სტენდზე გაკრული აფიშა უწყებოდა, რომ კინოთეატრში გადიოდა ფილმი „ზაზაბეულები"... სწორედ რომ ჩვენზე იყო ზედგამოჭრილი.

და კიდევ: ბათუმში მივდივართ მივლინებით მე და თამილა. პლაცკარტით ვიმგზავრეთ (უფრო კომფორტული მგზავრობის საფასურს არ გვინაზღაურებდნენ, ჩვენ კი თითოეულ კაპიკს ვზოგავდით). ვიცით სადგურზე გველოდებიან. თამილა ვეუბნები, – მომყევი მომყავ. იმდენი ვიარეთ, ვიდრე საერთაშორისო ვაგონში არ ამოვყავით თავი. პრეს-ტიფის ასაწევად სწორედ ამ ვაგონის ტამბურიდან და კიბეებიდან ჩავედით ბაქანზე. აბა, როგორ დრო გადის. წლები გვემატება, ცხოვრება შეიცვალა. ძველებურად, ხშირად, სამწუხაროდ, ერთმანეთს ვეღარ ვხვდებით, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ძველ მეგობრობას ფანგი არასოდეს მოეედება.

1 მარტს თამილა ჯახიძის დაბადების დღეა, თანაც მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღია.

სულითა და გულით გილოცავთ, ჩვენო თამილა, ჩვენი მეგობრები!

თენგიზ გაგნიძაძე

შეკითხვა: გთხოვთ გვიპასუხოთ, მრავალჯერ ოლიმპიურ ჩემპიონობას ვის აქვს მოპოვებული ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მედალი?

ნიკა ზარიძე, თბილისი

პასუხი: მრავალჯერ ოლიმპიურ ჩემპიონთა სარეკორდო მაჩვენებელი ჭერჯერობით ცხრას უტოლდება. ცხრაზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან: ფინელი მძლეოსანი პაავო ნურმი, რომელმაც 1920, 1924 და 1928 წლის ოლიმპიურ თამაშებში საშეალო და გრძელ მანძილზე რბენებში მოიპოვა ოქროს 9 მედალი.

1956, 1960 და 1964 წლებში ასევე ცხრა ოლიმპიური ოქროს მედალი ხვდა წილად საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ლარისა ლატინინას.

მესამე სპორტსმენი, რომელიც ცხრაზის ოლიმპიური ჩემპიონია, არის ამერიკელი მოცურავე მარკ სპიცი, რომელმაც ცხრაზის ოლიმპიურ ჩემპიონობას ორ თამაშებში — 1968 და 1972 წელს მიაღწია.

ვის ეკითხება „ლელო"

გასწორება

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის „დაკარგული პანაცეა" – რუბრიკით „იყო ასეთი შემთხვევა" – ავტორია გაია ნუცუბიძე.

ფეხბურთი რასიზმის გარეშე

UNITE AGAINST RACISM

ევროპის ჩემპიონატი

Coca-Cola

მხარდაჭერის ხელისრა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

პრესკონფერენცია

ზოგი რამ გაირკვა...

გერმანია-შვეიცარიიდან დაბრუნებულმა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა, ვალერი ჩოლარიამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა მასმედიისათვის. შეხვედრისას მან „ბუმას“ ახალი ეკიპირების პრეზენტაციაც მოაწყო და ვიზიტის თაობაზეც ისაუბრა:

— „ფიფას შტაბ-ბინაში ჩვენი ჯგუფის ყველა მონაწილე შევიკრიბეთ, ჯაზხეთის გარდა. პრეზიდენტმა ილიოზ ბლატერმა, გენერალურმა მდივანმა ურს ინმჰა და მისმა მოადგილემ ეერომ ჯამპანმა სამი საათი მოგვცეს მოსაუბრებლად და იქვე განვიხილეთ — ერთ საფეხბურთო ოჯახს წარმოადგენთ და თუ შეთანხმებას ვერ მიაღწევთ, ჩვენი მარცხი იქნებაო. 30 იანვრის კიევური შეხვედრისას უმრავლესობის მიერ მოწონებული კალენდრის ვარიანტზე თურქმა ორი ცვლილება მოითხოვა. იქვე განვიხილეთ, რომ არ გვსურდა საქართველოს მეორე ტურში დაეცვინა. ალბანეთიც პროტესტით გამოვიდა, მათ ბოლო ტურის გამოტოვება არ სურდათ. მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და ყველაფერი ენერისარმ გადაწყვიტა. ბერძნების თხოვნით, წელიწადიდან 17 აგვისტო თამაშების განრიგიდან ამოვიღეთ — როგორც მათ განაცხადეს, ათენის ოლიმპიადის გამო 4 სექტემბრამდე სტადიონების მზადყოფნაში მოყვანას ვერ მოასწრებენ. ამის შემდეგ შეეთავაზეთ, რომ პირველი შეხვედრა საბერძნეთის ალბანეთში ეთამაშა და ეს პრობლემაც მოიხსნა.“

სფფს გენმდივანმა ასევე ისაუბრა იმ განესაღების შესახებ, რომელიც მან მოლოდ იმ დღეს (ოთხშაბათს) დაწერა, თუმცა არ იცის, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს პროცესი: „ჩერან ეროდნის შეხვედრი და ამ საკითხი სახლოლოდ გაეკვეთ“ — განაცხადა მან.

თუ რა შეთანხმებას მიაღწია „ბუმასთან“, გენერალურმა მდივანმა შემდეგი განაცხადა: „ორი ეარიანტი შეგთავაზეს და ჩვენს მიერ მიღწეული სახოლოო გარიგება სფფ-სთვის მომგებიანია. ეროვნული გუნდის ეკიპირება „ბუმამ“ უსასყიდლოდ მოგვცა, დანარჩენი ოთხი ნაკრების ეკიპირება კი 80 პროცენტიანი ფასდაკლებით შეეძინეთ. ეკიპირება რომ არ დაიბეგროს, ჩვენი თხოვნით ის უეფამ შეისყიდა და გრანტის სახით გამოგვიგზავნა. „ბუმასთან“ შეთანხმებით, 2006 წლის ბოლომდე ჩვენს ნაკრებს ფორმის პრობლემა არ ეჭნება.“

ლ. ჯანკოტაძე

ვინც ჟურნალისტს გაურბის... დისციპლინა

ოთხშაბათს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა პროფესიული საფეხბურთო ლიგის რიგგარეშე კონფერენცია. განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. პროფესიული ფეხბურთის ლიგის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. XV ეროვნული ჩემპიონატისა და დაჯილდოების სახელობის თასის XIV გათამაშების რეგლამენტისა და სფფ-ის სადისციპლინო დებულებაში შესათავსებელი ცვლილებების პროექტის განხილვა;
3. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში სადისციპლინო ორგანოს (კომიტეტის) შექმნა;
4. სფფ-სთან არსებული სამსაჯო-სანაწილებლო კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ წინადადების შემოტანა;
5. მომდინარე საკითხები: მასმედიასთან ურთიერთობა და დოპინგკონტროლი;

სპარსკონფერენციო დარბაზში ეროვნულიტების წინაშე პროფლიგის გენერალური მდივანი რევაზ ღლონტიფანიძე, პრესსამსახურის პაატა ბუჩუკლიანი და სადისციპლინო კომისიის წარმომადგენელი შვიად დარასელი წარსდგნენ. ითქვა, რომ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ყველა კლუბის წარმომადგენელი ვალდებულია მატჩების შემდეგ, პრესის სასაუბროდ, მინიმუმ ერთი წუთი მაინც დაუთმონ. წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბი 100 ლარით დაჯარიმდება. ჟურნალისტი ვალდებულია, მატჩის ინსპექტორს სთხოვოს ამა თუ იმ კლუბის წევრებთან გასაუბრება. თუკი დარღვევა მოხდა, ინსპექტორი ამას ოქმში შეიტანს და დასასჯელი დაისჯება.

უკვე შემუშავებულია ახალი, გამკაცრებული სადისციპლინო კოდექსი, რომელიც მალე დაიბეჭდება და, კლუბების გარდა, მასმედიის წარმომადგენლებსაც გადაეცემა. ამასთან, მატჩებზე გაუგებრობა რომ არ მოხდეს, ინსპექტორისა და დირექტორის გარდა, პროფლიგა დამატებით თავის წარმომადგენელსაც მიაკლებს.

რაც შეეხება დარღვევებს: მსაჯთა ოთხშაბათი უცხო პირის შესვლა იკრძალება და ასეთ შემთხვევაში მასპინძელ კლუბი 400 ლარით დაჯარიმდება, ხოლო თუ იგივე ქმედება განმეორდება, საწესვრო ორმაგდება. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა 500 ლარით ისჯება.

ისაუბრეს აგრეთვე გუნდების, როგორც ფარგლებებიც ჰყავთ. ამ შემთხვევაში მათ, ფორმის აღდგენის მიზნით, შეუძლიათ ფეხბურთელები დუბლებში ათამაშონ, მაგრამ მხოლოდ ერთი მცარისა და ერთი მინდორის მოთამაშის გამოყვანის უფლება ექნებათ.

მიუხედავად იმისა, რომ სანქციები მკაცრია, პროფლიგის წარმომადგენლებს არც ერთი კლუბისადმი წყენა აღძრვიათ არ შეხვედრიათ. მეტიც, მათი განცხადებით, სადისციპლინო კოდექსის გამკაცრების მიზანი წესრიგის დამყარებაა და არა მათი შემოსავლების გაზრდა. რაც შეეხება სანქციებს, მას ზედად დარასელი და სპეციალური ოპერატიული ჯგუფი აღარ ეყოფათ. ისე როგორც ახლა, მომავალში ეროვნულ ჩემპიონატში კვლავ თორმეტი გუნდი იასპარეზებს.

ლ. ჯანკოტაძე

კალენდარი შეგვიდგინეს

ფიფამ „ურჩი შვილები“ დააშოშმინა, შინ მიიპატიჟა, იქვე კოდეკს ერთხელ მოუწოდა მოწვეულებს მიეღწიათ შეთანხმებისათვის, მაგრამ მეორე შესარჩევი ჯგუფის შეიდეული ისევ ვერ მორიგდა. ჰოსტ-ბაბჭურწალკანურ-ჩრდილოური „ჯაჯუსანდალის“ ევროპულ კერძად ქცევის რეცეპტი, ფიფას აღმოაჩნდა მხოლოდ. მსოფლიო ფეხბურთის მამებმაც არ დაიზარეს, დასაგებელი დაალაგეს, დასდგნეს დაადგინეს, შესადგენი შეადგინეს. კენჭისყრის ცერემონიას თხუთმეტოდე წუთი დასჭირდა. საქართველოს ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს წლეულს, სექტემბერში თურქეთში გასვლით მატჩით დაიწყებს და გასასვლელად ოქტომბერში საბერძნეთში, ახვევ, გასვლითი მატჩით დაამთავრებს. მაგრამ გარდა ამ ორი მატჩისა, შეხვედრათა თანმიმდევრობა კალენდრის შუაში, ჩვენთვის მეტნაკლებად მისაღებია. კენჭისყრის შემდეგ ჯგუფის წარმომადგენლები შვიდეულად დასცილდნენ ერთმანეთს. უამაყოფილესი საჯაროდ არავის გამოუთქვამს, თუმცა, ვისთვის რა უნდა ეთქვათ?! ფიფასეული კალენდარი გასაჩივრებას არ ექვემდებარება და სანამ ჯგუფური ტურნირი დაწყებული, მანამდე შეიდევე ნაკრები თანაბარ პირობებშია. საქართველოს ნაკრებს უთამაშია თურქებთან, უკრაინელებთან, ბერძნებთან, ალბანელებთან, ახალ შესარჩევ ციკლში და, საერთოდ, თავისი არსებობის ისტორიაში ქართული ნაკრები პირველად შეხვდება დანიას და ყაზახეთს. ვიანებებს წლეულს, ნომბერში ვუმასპინძლებთ, ყაზახებს კი გაისად გავიცნობთ და სტუმრადაც ვეწვევით. კალენდრის ავკარგიანობის შესახებ ლაპარაკი ნაადრევია, თუნდაც იმ მოზეზით, რომ იგი ფიფამ შეადგინა და მხარეთა მოლაპარაკებით არ დადგენილა. კალენდარს ყველა ნაკრებისთვის მინუსიც აქვს და პლუსიც. მაგრამ ამ უპირატესობას თუ მეტოქეთა სისუსტეს, ვინ როგორ მოიგებას და გამოიყენებს მატჩების მსვლელობისას, უშუალოდ მინდორზე გამოჩნდება.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლამდე ბერძნებს და ალბანელებს პორტუგალიური ევრო 2004 აქვთ მოსაველელი. მანამდე ჩვენებურ ნაკრებსაც უთლება თავკაცი, ვითარება გაირკვევა, ბუნება გაიფანტება, დღეს არსებული ეროვნარი დამბაღულობა განიმუხტება და ძლიერი და სუსტი მხოლოდ სპორტული შეკრებებისას გამოჩნდება.

ევრო 2004 II ჯგუფი

04.09.2004

დანია — უკრაინა
თურქეთი — საქართველო
ალბანეთი — საბერძნეთი

08.09.2004

ყაზახეთი — უკრაინა
საქართველო — ალბანეთი
საბერძნეთი — თურქეთი

09.10.2004

თურქეთი — ყაზახეთი
ალბანეთი — დანია
უკრაინა — საბერძნეთი

13.10.2004

ყაზახეთი — ალბანეთი
დანია — თურქეთი
უკრაინა — საქართველო

17.11.2004

საბერძნეთი — ყაზახეთი
საქართველო — დანია
თურქეთი — უკრაინა

09.02.2005

ყაზახეთი — საქართველო
საბერძნეთი — დანია
ალბანეთი — უკრაინა

26.03.2005

დანია — ყაზახეთი
საქართველო — საბერძნეთი
თურქეთი — ალბანეთი

30.03.2005

უკრაინა — დანია
საქართველო — თურქეთი
საბერძნეთი — ალბანეთი

04.06.2005

უკრაინა — ყაზახეთი
ალბანეთი — საქართველო
თურქეთი — საბერძნეთი

08.06.2005

ყაზახეთი — თურქეთი
დანია — ალბანეთი
საბერძნეთი — უკრაინა

03.09.2005

ალბანეთი — ყაზახეთი
თურქეთი — დანია
საქართველო — უკრაინა

07.09.2005

ყაზახეთი — საბერძნეთი
დანია — საქართველო
უკრაინა — თურქეთი

08.10. 2005

საქართველო — ყაზახეთი
დანია — საბერძნეთი
უკრაინა — ალბანეთი

12.10.2005

ყაზახეთი — დანია
საბერძნეთი — საქართველო
ალბანეთი — თურქეთი

თასით ვიწყებთ

უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგების ოცდათორმეტი კლუბი სეზონს დღეიდან, სათასო პაექრობებთ გახსნის. ეროვნული პირველობის გახსნებამდე, 16 მარტამდე, გუნდები თასის გათამაშების ორ ეტაპს გაიელიან. მარეგიონულ პირობის მატჩები 6-7 და 12-13 მარტს გაიმართება.

მეთექვსმეტედ ფინალის ოცდათორმეტი მონაწილიდან 12 უმაღლესლიგელია, ამდენივე პირველლიგელი და რვა გუნდი რეგიონულ პირველობას წარმოადგენს. წყვილებში ფაეორიტების მატჩების შეხვედები გამოაჩენს, მთავარია საფეხბურთო სეზონი დაიწყო.

ჯამით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშება

1/16 ფინალი. პირველი მატჩები. 27 თებერვალი: „მცხეთა“ — ს.კ. „თბილისი“ მსაჯი ი. კახიანი (მატჩი გაიმართება ლავოდეში). „დინამო“ (თბ) — „იპ ჯორჯია“ (მცხეთა). მსაჯი ზ. ანაშვილი; „ცხინვალი“ — „პერეთი“ (ცხინვალი). მსაჯი ა. კრიკუაშვილი; „ამერი“ (თბ) — „ურიონი“ (თბ). მსაჯი ა. შალამბერიძე; „ლოკომოტივი“ (თბ) — „რეცხავი“. მსაჯი მ. მალალურაძე; „წერცხლი“ (ოზურგეთი) — „ბეტალურგი“ (ზესტაფონი). მსაჯი მ. კიკნაძე; „ტორპედო“ (ქუთაისი) — „გერია“ (ლანჩხუთი). მსაჯი ი. სახაია.; „სამგურალო“ (წყალტუბო) — ლუკა (ბათუმი). მსაჯი გ. ასკარ-ოღლი.

28 თებერვალი: „ლოკომოტივი 1913“ (ლოთი) — „დინამო“ (ქუთაისი). მსაჯი ს. ქვარაცხელია; „ჭიათურელი“ — „ლოკომოტივი“ (სამტრედია). მსაჯი ჯ. ბუეშელი; „დინამო“ (ბთ) — „დინამო“ (ზ). მსაჯი ა. დოგონაძე; „დილა“ (გორი) — „ავაზა“ (თბილისი). მსაჯი მ. მაისურაძე; „იპ ჯორჯია“ (თბ) — „ჩიხურა“ (სანჩერე). მსაჯი ა. ორდინიძე; „თბილისი“ — „მილანი“ (წნორი). მსაჯი ა. შილაკაძე; „სპარტაკი“ (თბ) — „ჰერეთი“ (თბ). მსაჯი ლ. ფანიაშვილი; „სიონი“ (ბოლნისი) — „ივერია“ (ხაშური). მსაჯი ა. მეშვილი;

მატჩები დაიწყება 14 საათზე. სპასსუფთ შეხვედრები ჩატარდება 1, 2 მარტს.



ბავშვთა ფეხბურთი

«ირაოს» თასზე

